პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივლისი, კვირა, 1989 წ.
№ 126 (10 045) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

1989

სინქრონული ცურვა: მედლებს მედალი მიემატა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები **ვაჟა დანელია** და **გიორგი ჩოჩიშვილი** დონეცკიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

სინქრონულ ცურვაში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსმენებს (უფროსი მწვრთნელი ნატალია მაშუკი) ორი სახეობის შემდეგ ორი ოქროს მედალი ჰქონდათ მოპოვებული. მათ ჯგუფურ ასპარეზობაშიც ისახელეს თავი.

ჩვენმა გოგონებმა (ხრისტინა ფალასინიდი, ნინო მაისურაძე, ელისო მარგველაშვილი, მაია მელაძე, ტატიანა გუტიაკულოვა, ეკა ასათიანი, მანანა ჩანქსელიანი, ნინო ლომოური, ირინე ტარუაშვილი) 176,69 ქულა დააგროვეს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი გახდა მოსკოვის გუნდი — 184,70. უკრაინელები მეორე ადგილზე გავიდნენ — 178,72.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი — 207 ქულა, საქართველო — 142, უკრაინა — 134.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელ ხრისტინა ფალასინიდის.

— დონეცკში მიღწეული წარმატება ყველას გვახარებს, რადგან იგი ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში მოვიპოვეთ. — გვეუბნება ხრისტინა. — შეჯიბრება ჩემთვის განსაკუთრებით მომქანცველი გამოდგა, რადგან აქ ჩამოვედი პირდაპირ ესპანეთიდან, სადაც მალიორკას თასის გათამაშებაში გამოვდიოდი. ეს ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა ძალზე პოპულარულია. მასში ჩვეულებრივ უძლიერესი სპორტსმენები გამოდიან. წლევანდელ შეჯიბრებაში ვიხილეთ სინქრონული ცურვის ისეთი ძლიერი სპორტსმენები, როგორებიც აშშ-ის, კანადისა და იაპონიის წარმომადგენლები არიან. ერთეულთა ასპარეზობაში გამარჯვებისთვის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა, რადგან მალიორკას თასისთვის სეულის ოლიმპიური თამაშების რამდენიმე მონაწილე იბრძოდა. ყველას აჯობა კანადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სილვი ფრეშედმა. მეორე იყო სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი იაპონელი მიკაკო კოტანი, ხოლო მესამე ადგილზე მე გავედი (დავძენთ, რომ სსრ კავშირის სინქრონული ცურვის ოსტატები ოთხი წელია მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში და მათგან ხრისტინას მსგავსი წარმატებისთვის ჯერ არავის მიუღწევია). რაც შეეხება ჯგუფურ შეჯიბრებას, აქ უძლიერესები იყვნენ კანადელები, მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთა შემადგენლობაში მეც ვიყავი. ბრინჯაოს მედლები ფრანგებმა მოიპოვეს.

ესპანეთის საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა სპორტსმენებისთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას უნდა გამოევლინა ერთეულთა ასპარეზობაში ევროპის ჩემპიონატის (აგვისტო, გფრ) მონაწილე. მწვრთნელები უპირატესობას მოსკოველ ვარია ჩერნიაევას ანიჭებენ, მაგრამ ხრისტინამ ესპანეთში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი უფრო ძლიერია. ჩერნიაევა მალიორკას თასის გათამაშებაში მხოლოდ მეათე იყო.

ახლა საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატები მოემზადებიან საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც 12-17 ივლისს კიევში გაიმართება.



საქართველოს სინქრონული ცურვის ნაკრების წევრები ვარჯიშის დროს.

ს. ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ოქროს მედალს დავით ბაგაურიც გაუშინაურდა

ყველაფრიდან (უფრო ზუსტად გუშინდელი შეხვედრებიდან) ჩანს, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები კვლავ შეასრულებს თავის „დღიურ ნორმას“. 30 ივნისს, ტურნირის სტარტზე უკვე გაცნობეთ, ჩვენმა მოჭიდავეებმა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ისტორია სპორტშიც მეორდება ხოლმე და ჯერ კიდევ საღამოს ფინალური შეხვედრების წინ საქართველოს გუნდს იგივე შედეგების რეალური იმედი აქვს. რაც მთავარია, ოქროსა და ვერცხლის მედლების საკითხი სათუო აღარ არის — როგორც გუშინწინ მძიმე წონაში, გუშინაც 86 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ახმეტელი დავით ბაგაური („დინამო“) და თბილისელი თამაზ სააკაშვილი (პროფკავშირები). მათი გამოსვლა საოცრად იდენტური აღმოჩნდა ჩვენი მძიმე წონის ფალავანთა გამოსვლისა: ბაგაურმაც და სააკაშვილმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს. სააკაშვილმა (მწვრთნელი ამირან კელიხაშვილი) სულ რაღაც 30-მდე წამში მოუგო ჩირჩიკელ რეფატ აბქერიმოვს, ასევე ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სააკაშვილის შემდეგი მეტოქეები — ვიაჩესლავ ოგარკოვი და დმიტრი მიგინი. მართალია, ისინი მეტ ხანს გაუძალიანდნენ ქართველ მოჭიდავეს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, წმინდა დამარცხებას ვერ გადაურჩნენ.



დავით ბაგაური

დავით ბაგაურისა (მწვრთნელები ტარიელ შათირიშვილი და ბიძინა მაზიაშვილი) და მოსკოველი ვლადისლავ პოლოჟცოვის შეხვედრას თვალი ხეირიანად ვერავინ მოჰკრა: სულ რაღაც 2-3 წამის შემდეგ (ელექტროტაბლო არ მუშაობს) მოსკოველი ძირს აღმოჩნდა განრთხმული, ისე, როგორც ეს ცნობილ ქართულ ფილმშია. ოღონდ, დამარცხებულმა, ცხადია, აღარ გააპროტესტა წაგება. შემდეგ ბაგაურმა კიშინიოველ იური პისკარს მოუგო 3 წუთში და დაახლოებით ამდენსავე ხანში ძნელ ბრძოლაში აჯობა უკრაინელ ანატოლი დროგას. მხოლოდ ვიზუალური შეფასებით კი არა, ამ შედეგებითაც ნათელი უნდა იყოს ჩვენი მოჭიდავის აშკარა უპირატესობა მეტოქეებზე. ჩვენები ღირსეულად გავიდნენ ფინალში.

78 კგ წონაში „ჩვენი საქმენი“ იმდენად კარგად აღარ წარიმართა. გორელმა ბესიკ ქოქოევმა პირველ ორთაბრძოლაში ეფექტური სარმით მოუგო ყარაგანდელ ალექსანდრე გამს. შემდეგ ვაჟკაცურად გაუმკლავდა ცნობილ კურსკელ ათლეტს ვალენტინ მერკულოვს და ვაზარის წყალობით აჯობა მას. აი, ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა კი შებოჭვით წააგო მოსკოველ არამ აკობჯანიანთან. ქოქოევი ახლა ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებს.

იგივე შანსი დარჩა ოლეგ რატიანსაც. მან ერთი შეხვედრა მოიგო, მეორე კი წააგო ძალზე ძლიერ მოჭიდავე აპტი მაგომადოვთან, რის შემდეგაც სანუგეშო ტურნირში ჩაება. თუ იგი ამ ეტაპს გადალახავს, მესამე ადგილისთვის ბესიკ ქოქოევს შეხვდება.

გუშინ საღამოს ახმეტელი დ. ბაგაური ჩემპიონი გახდა. თბილისელმა თ. სააკაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ბ. ქოქოევი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

◆◆◆

დავისვენოთ დასვენების დღეებში

ზაფხული ძალაში შევიდა. მათთვის ვინც თბილისში დარჩა შვება თბილისის ზღვა, ლისის ტბა და საცურაო აუზებია.

ჩვენი ფოტორეპორტაჟის ფოკუსში თბილისის ზღვა მოექცა. ახალ სეზონში დამსვენებლებს აქ სიურპრიზები დახვდათ — ბავშვებს შეუძლიათ ატრაქციონებით შეიქციონ თავი, ხოლო ფიზკულტურის მოყვარულთათვის მზადაა ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის სპორტული კომპლექსი.





მიენიჭა
დ. იოსელიანის
სახელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლას მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანის სახელი.

●◆●◆●

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ავტოსამოდელო სპორტში — კახა ძაგნიძეს, ვლადიმერ გალუსტიანს, ვაჟა პოზაშვილს (სამივე — თბილისი, დოსააფი), ბექა მირიანაშვილს, ლევან ბასილაიას (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები), ლაზარ რუბინშტეინს (ბათუმი, დოსააფი).

წყალსამოტორო სპორტში — გურამ ფარულავას, ევგენი რომანოვს (ორივე — სოხუმი, დოსააფი).

სარაკეტო-სამოდელო სპორტში — იგორ არტამონოვს (თბილისი, დოსააფი).

სატყვიო იარაღით სროლაში — ვალენტინ ხალეცკის (სოხუმი, „დინამო“).

საავტომობილო სპორტში — თეიმურაზ აბრამოვს, ვლადიმერ გოგიას (ორივე — თბილისი, დოსააფი), ოთარ არჯევანიძეს (თბილისი, პროფკავშირები).

სადაც ერთობლივი ზრუნვაა, იქ წარმატებაცაა

ბავშვთა რაგბი

სხვა რით გაახარებ...

იყო დრო, როცა ნაპარავის გემო ჰქონდა ბავშვების ლაღობა-თამაშს

დრო მკურნალიაო, რომ დაგვიჟინია, ხანდახან ისიც ვთქვათ, რა ჯიუტი პაციენტია ხსოვნა.

ეჰ, ბავშვებო, ბავშვებო... ახლა რომ იქით გეხვეწებით, თქვენ მაშინ გენახათ — ნაღვლიანად ვფიქრობ 172-ე სკოლის მორაგბეების შემყურე.

ეს ახლა აჰრელდა გაზეთები, მეტად და გონივრულად ვიზრუნოთ ბავშვებზე, სულს ნუ შევუბორკავთ, ხშირად დავუყვავოთ, იმათ ჯანმრთელობას თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთო, თორემ მაშინ ნამდვილად ბრმა-ყრუობის დრო იყო-მეთქი — ვცხარობ.

ჯერაც გაუნელებელმა წყენამ ქარით ატაცებული ფოთლის სიმსუბუქით ამოატრიალა ის უსიამოვნო სურათები, ხსოვნის ფსკერზე სამუდამოდ ჩალექილი რომ მეგონა. ვიცი, ხსოვნა სუბიექტურია, „მატყუარაა", გარდასულს შეაფერადებს ან ჩაამუქებს, ისე რომ, ჩემი მოგონება ყველასთვის ერთნაირად სანდო და სარწმუნო ვერ იქნება, მაგრამ ისეთ მოწმეს დავიყენებ, ბევრი ორმოცს მიტანებული რომ იცნობს და, მჯერა, იოლად ვერავინ გამამტყუნებს.

ეს მოწმე მაშინდელი თითისტოლა ბავშვების ზაფრა და გულისხეთქვაა.

კვირაში ორჯერ გამომეტებული ფიზკულტურის გაკვეთილი. წლების მანძილზე ერთი და იგივე: „ნაბიჯით იარ", „განმკლავი-მიმკლავი-ზემკლავი", მამა-პაპურ ტანვარჯიშულ იარაღებზე ცოდვილი. იშვიათად —კალათბურთი. ვის ეყოფოდა? ალმა-დალმა მოგრიალე მანქანებით სავსე ქუჩაშიც ვერ ვიბურთავებდით, საერთო ეზოებიც მოუწყობელი და საშიში იყო— ერთი არაზუსტი დარტყმა, ე. ი. ჩატეხილი ფანჯრის მინა და „მოიცა, მოვიდეს მამაშენი". ფეხები უკან გვრჩებოდა, მაგრამ სხვა გზა და საშველი არ იყო — ისევ იქ, სკოლის ეზოში უნდა შევპარულიყავით.

სკოლის დირექტორს თუ არ ჩავთვლით, ამ კაცის ყველაზე მეტად გვეშინოდა. რას გვერჩოდა, რას ვაშავებდით — გაკვეთილების მერე ან კვირადღეობით საკუთარი სკოლის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით. ვაი, ასეთ თამაშს! ავის მოლოდინით გულაფანცქალებულებს ჭიშკრისკენ უფრო გაგვირბოდა თვალი, ვიდრე მეტოქის კარისკენ. მაინც მოულოდნელად წამოგვადგებოდა თავზე — რა ენაღვლებოდა, როგორც ყველა დარაჯი, ჩვენდა ჭირად, ისიც სკოლის მეზობლად ცხოვრობდა. ლიკიანობა გეგონებოდათ, ისე დავწიოკდებოდით, გზამოჭრილები ერთმანეთს ვასწრებდით კაი მაღალი ღობიდან ჩახტომას (რამდენჯერ ავკოჭლებულვართ). ბიჭი იყავი, ნუ იკადრებდი — იმდროინდელი დიდაქტიკა-პედაგოგიკის სუსხი ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად გვწვავდა და გვიწითლებდა ყურებს. ის ჩვენი ცოდვით სავსე დარაჯიც ვისზე ნაკლები იყო — მტრისას, ისე „მიიპყრობდა" სასმენელს ჩვენსას და „რა გვარი ხარ, რომელ კლასში სწავლობ, დირექტორსაც მოვახსენებ, დამრიგებელსაც ვეტყვი და მშობელსაც გამოვიძახებთო"— ჩაგვყვირებდა. თუ გაუძალიანდებოდი, ერთს ლაზათიანადაც გითავაზებდა და გაგიშვებდა სახლში ასე უსამართლოდ დამცირებულს და ატირებულს. ამიტომ იყო, ნაპარავის გემო რომ ჰქონდა ჩვენ მაშინდელ ლაღობა-თამაშს.

ვხვდები, შური სჭვივის ამ გახსენებაში. არც ვმალავ — ნეტავი მეტიც შემაშუროს ღმერთმა, რადგან, ასე მგონია, ჩემსავით არვის გაუხარდება იმ უკუღმართი დროის ერთხელ და სამუდამოდ ჩათავება.

ცა და მიწაო, ჯერ ვერ ვიტყვით მაშინდელზე და ახლანდელზე, მაგრამ არც იმას გაუვა წყალი, რომ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. ერთი კი უეჭველია—საყოველთაო ძალისხმევამ იმისათვის, რომ ბავშვებს გართობა-თამაში არ ენატრებოდეთ, ბრძოლის ხასიათი მიიღო. ბრძოლისა იმიტომ, რომ ბევრი ისევ გულარხეინობს, „ნეტავი თქვენ, მოგცლიათო" — ფიქრობს. ამიტომ უფრო ვაფასებთ იმ ადამიანებს, ვინც დროს თამამად აუწყო ფეხი და სხვათათვის სამაგალითოდ ირჯება.

დიდი ხანი არ არის, ყოფილმა მორაგბემ ემზარ სულაქველიძემ 172-ე სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მწვრთნელად მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონეს უქმად რა გააჩერებდა — ჯერ ვითომ სახალისოდ გაუგორა ბავშვებს ოვალური ბურთი, მერე მიდგა-მოდგა, თხოვნა იყო თუ შეწუხება, არ დაიზარა, სკოლაში მორაგბეთა გუნდები ჩამოაყალიბა და...

ახლახან ჩატარებულ ნორჩთა რესპუბლიკურ პირველობაში გაიმარჯვა თბილისის 26 კომისრის რაიონის მოზარდ მორაგბეთა კლუბმა „ივერიამ", რომლის წევრთა უმრავლესობა 172-ე სკოლელია. ფინალურ ტურნირში მათ ისეთი ტრადიციების მქონე კოლექტივებს აჯობეს, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს რაგბისა და კეტბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის და ქუთაისის გუნდები რომ არიან. 172-ე სკოლის გუნდის ამ წარმატებაში მთელი პედკოლექტივის წვლილიცაა, რადგან მასწავლებლები გაგებით ეკიდებიან აღსაზრდელთა გატაცებას. თუმცა, მარტო ეს რას იქმარებდა, „ივერიას" ყურადღებიანი შეფები რომ არ ჰყავდეს — მათზე ერთობლივად ზრუნავენ განათლების მუშაკთა პროფკავშირი, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და 26 კომისრის რაიაღმასკომი.

ერთი სიტყვით, გონიერი აღმზრდელისა და მის თანამოაზრეთა გარჯამ ორ-სამ წელიწადში მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. ეს ყველაფერი სათქმელად ადვილია, მაგრამ, მოდით, გულდასმით განვსაჯოთ: განა ხშირად ვართ იმის მოწმე, რომ ერთ „ჩვეულებრივ" საშუალო სკოლას რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში („ივერია" არც რესპუბლიკის გარეთ ირცხვენს თავს) გამოჰყავს გუნდი და, არა მარტო გამოჰყავს, იმარჯვებს კიდეც. ამაზე კეთილი საქმე რა უნდა გაკეთდეს, სხვა რით უნდა გაახარო ვაზისუბნელი და ვარკეთილელი ბავშვები, რომელთაც (თბილისის ახალი უბნებისა თქვენც კარგად მოგეხსენებათ) სპორტული სექციების დიდი არჩევანი არა აქვთ.

თ. შენგელია.



აბიტურიენტი -89

რეპლიკა

წესს ვიცავთ, თავაზიანობას — არა!

რედაქციაში რამდენიმე სიგნალი შემოვიდა იმის თაობაზე, რომ აბიტურიენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის წინ ამ დღეებში ფიზიკურ მომზადებაში აბარებენ ნორმატივებს, ზოგიერთი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელი უხეშად ექცევა, საქმე არაიშვიათად სიტყვიერ შეურაცხყოფამდე მიდის. ძირითადად კონფლიქტის მიზეზი ხდება მბრძანებლური ტონი, მედიდურობა, დაცინვა იმის გამო, რომ ზოგიერთი აბიტურიენტი მასწავლებლისთვის მოსაწონი სპორტული ფორმით არ ცხადდება ჩათვლაზე.

ვიზიტის მიზეზი არ გაგვიმჟღავნებია, გუშინ დილით ისე ვეწვიეთ თბილისის რამდენიმე სპორტულ ბაზას და... პირდაპირ გეტყვით, მასწავლებლებთან შეხვედრისას უმალვე დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდების პრეტენზიები უსაფუძვლო არ არის. მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს — ერთი გოგონა ჩვენს თვალწინ ჩათვლაზე არ დაუშვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზედატანზე სპორტული ჩასაცმელი არ ეცვა, ვაჟებს კი არავინ უხირდებოდა, უფლებას აძლევდნენ პერანგით ერბინათ. რატომაა ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ერთი უმაღლესი სკოლის ერთი კათედრის მასწავლებლებს შორის?

სხვა სტადიონზე ასევე სპორტული ფორმა დაუწუნა პედაგოგმა რაიონიდან ჩამოსულ გოგონას, რომელიც იმუდარებოდა, თბილისში მარტო ვარ, უკან ნუ გამაბრუნებთ, გეხვეწებით ჩაიბარეთ ნორმატივებიო. როგორ ფიქრობთ, ჩვენ მოგვერიდა პედაგოგი? ნურას უკაცრავად! უფრო გულდაგულ გალანძღა და დაამცირა ის ქალიშვილი. ჩვენი მხრიდან მიცემულ შენიშვნაზე კი ამ „პედაგოგმა" ინტიბარი არ გაიტეხა, — ასეთებს იგრე უნდა ელაპარაკოო, გვითხრა.

ახლა იმის თაობაზე თუ რამდენად მართალნი არიან პედაგოგები. არავინ დაობს, სპორტული ფორმა აუცილებელია, როცა ჩათვლას აბარებ, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ კომისიის წინაშე იმდაგვარად ჩაცმული არავინ ცხადდება, როგორც ქუჩაში დადის. მიზეზებიცაა გასათვალისწინებელი. თუმცა, თვით აბიტურიენტებს მოვუსმინოთ: „რაიონში სპორტული ფორმის სრულ კომპლექტს ვერ შეიძენ, ჩამოდიხარ თბილისის იმედად. აქაც ან არ არის, ან სასურველი ზომა არ იშოვება. თანაც თუ თბილისში ნათესავი არ გყავს, იმავე დღეს უკან უნდა გაბრუნდე. დილიდან მაღაზიებში ვირბინოთ თუ ნორმატივების ჩაბარების რიგში ჩავდგეთ. იდგები რიგში, გაივლი საექიმო შემოწმებას, მიხვალ კომისიის წევრებთან და უკან გიხტუმრებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ზედატანზე სპორტული ფორმა არ გაცვია. როგორ ხასიათზე დადგებით?"

„ამ დილით მეორედ ჩამოვედი ცხაკაიიდან, გამაბრუნეს ზედა ჩასაცმლის გულისთვის".

„რით არ არის ეს სპორტული ჩასაცმელი?" — ცრემლმორეული გვიმტკიცებდა ერთი გოგონა, რომელსაც მოკლესახელოიანი შავი მაისური ეცვა, მაგრამ ის მაისური ჯიბიანი იყო და რომელიღაც „აღმზრდელს" არ დაუშვია ჩათვლაზე.

ერთმა პედაგოგმა გვითხრა, — აბა როგორ გგონიათ, პატივს ვცემთ ჩვენს პროფესიასო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნურც ადამიანების პატივისცემა და თანაგრძნობა დაგვავიწყდება. არც იმის შეხსენება იქნება ურიგო, რომ ეს ახალგაზრდები ჯერ აბიტურიენტები არიან და არა „საკუთარი სტუდენტები", რომლებთანაც საუბარში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ დაგვიძლევია ქედმაღლობა. განა იგივე უარის თქმა უფრო ზრდილობიანად არ შეიძლება?

მაგრამ მაინც, რატომ უარი? თუ ასე მოწადინებულნი არიან საკუთარი პროფესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად და ისიც სურთ სხვებმა ამ პროფესიას პატივი სცენ, ცოტა თავადაც ხომ უნდა მიდგნენ-მოდგნენ. განა კათედრებმა ვინმეს მიმართეს, რომ ბაზებზე სპორტული ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გაეყიდათ ამ დღეებში? (კვების ობიექტებზე ალარაფერს ვამბობთ). ეს ჩვენი საქმე არ არისო, — იტყვიან, არის, როგორ არ არის. დღეს ხომ ჩვენ ყველა ახლებურად უნდა ვაზროვნებდეთ.

კიდევ ერთი: ის აბიტურიენტები, რომლებიც თბილისში არ ცხოვრობენ, მაგრამ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სურთ შესვლა, რაიონებიდან თბილისში ჩამოდიან ნორმატივების ჩასაბარებლად. მათ შარშან უფლება ჰქონდათ ახლომდებარე ქალაქებში მიეღოთ ჩათვლა.

გაუგებრობა ხდება ასაკთან დაკავშირებითაც. ერთმა ჭაბუკმა შემოგვჩივლა: 19 წლისა ვხდები ნოემბერში, ვაბარებ ნორმატივებს, რომელიც გათვალისწინებულია 19 და არა 18 წლიანებისთვისო. როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ არის გაურკვეველი საკითხები.

აი, ვამთავრებთ წერილს და ერთი კონკრეტული გვარი არ დავასახელეთ. ამას შეგნებულად ვაკეთებთ, რადგან აბიტურიენტებს წინ მისაღები გამოცდები ელით, არ გვინდა მათ ვინმე „ჩაუხაფრდეს". ამავე მიზეზით და, რა დასამალია, რომ არ განაწყენდნენ, არც მასწავლებელთა გვარები დავასახელეთ.

ბოლოს გვინდა ვთქვათ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის წინ ფიზიკურ აღზრდაში აბიტურიენტთა შემოწმება, უდავოდ, ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. მით უფრო, არავის აქვს უფლება ბიუროკრატულად მიუდგეს ამ საქმეს.

ვფიქრობთ, ეს რეპლიკა უყურადღებოდ არ დარჩება, რაც ზემოთ ითქვა, სრულიადაც არ გვესახება პრობლემად, რომლის გამოსწორება, თუნდაც ხვალიდანვე, არ შეიძლებოდეს.

გულისხმიერება, გულისხმიერება გვმართებს ერთმანეთისადმი.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

ჩვენი საფეხბურთო საზოგადოების საყოველთაო ყურადღება მიპყრობილი იყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის 30 ივნისის სხდომისადმი, სადაც უნდა გადაეწყვიტათ მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, სხდომაზე განიხილეს მოსკოვის „ტორპედოს" პროტესტი დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" საკავშირო თასის ფინალურ მატჩში მომხდარი კაზუსის თაობაზე და ოდესის „ჩერნომორეცისა" და თბილისის „დინამოს" მატჩში მომხდარი დარღვევის შესახებ.

პირველ საკითხზე პრეზიდიუმს მოახსენა სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარემ მ. ბოლოტინსკიმ. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩის ოქმში მოსკოვის „ტორპედოს" წარმომადგენლებმა თამაშის დამთავრების შემდეგ ჩაწერეს, რომ საჩივარი შეაქვთ მატჩის შედეგის თაობაზე. მათ მეორე დღესვე შეიტანეს ოფიციალური პროტესტი და შესაბამისი თანხაც გადაიხადეს (500 მანეთი). მატჩის არბიტრს ვ. ქუკა და გვერდით მსაჯს ვ. მედვედცკის ბრალად ედებოდათ, რომ არასწორად აღნიშნეს ტორპედოელი ი. სავიჩევის სწორი პოზიცია, შეცდომით აღნიშნეს თამაშგარე მდგომარეობა და არ ჩათვალეს „დნეპრის" კარში გატანილი გოლი. ეს მოხდა თამაშის 41-ე წუთზე.

მატჩის ინსპექტორმა ა. ტაბაკოვმა განაცხადა, რომ თვალნათლივ დაინახა თავისი ადგილიდან ტორპედოელი ი. სავიჩევის სწორი პოზიცია იმ მომენტში, როცა მას ბურთი გადააწოდა შირინბეკოვმა და ამიტომაც გოლი უნდა ჩათვლილიყო. ამ შეცდომისთვის მან ვ. ქუკსა და ვ. მედვედცკის „ორიანები" დაუწერა.

სააპელაციო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტულ-ტექნიკური კომისიის, მსაჯთა საკავშირო კოლეგიისა და ინსპექტორთა კომისიის წევრები, დაადასტურა, რომ არბიტრმა და გვერდითმა მსაჯმა უხეში შეცდომა დაუშვეს, ამ შეცდომამ გავლენა მოახდინა მატჩის ანგარიშზე.

პრეზიდიუმის სხდომა მიჰყავდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ლ. ლებედევს. მან წაიკითხა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულების ორი პუნქტი. № 33 პუნქტში აღნიშნულია, რომ განსახილველად არ მიიღება პროტესტი, თუ იგი ეხება თამაშის მსვლელობაში მსაჯის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მაგრამ იმავე №37 პუნქტში წერია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მატჩის შედეგი საგრძნობლად დამახინჯებულია შეჯიბრების ჩატარების არსებული წესის დარღვევით, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას უფლება აქვს გააუქმოს მატჩის შედეგი. ლ. ლებედევმა სხდომას მოახსენა, რომ № 37 პუნქტს არავითარი კავშირი არა აქვს მსაჯობასთან, საქმე ეხება წმინდა ტექნიკურ შემთხვევებს (თუ სტადიონზე სინათლე ჩაქრა, მოხდა სტიქიური უბედურება და ა. შ.).

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარის ა. სპირინის აზრით ფინალური მატჩის 41-ე წუთზე მომხდარი შემთხვევა მეტად რთულია, ვიდეოჩანაწერის მრავალგზისი განხილვის შემდეგ მსაჯები საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღნიშნულ მომენტში ი. სავიჩევი თამაშგარე მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, ე. ი. გოლი აუცილებლად უნდა ჩაეთვალათ, მაგრამ მსაჯთა მიკერძოებაზე ამ მატჩში ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მატჩის არბიტრი ვ. ქუკი. მან განაცხადა: „იმ ადგილიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი აღნიშნულ ეპიზოდში, როცა შირინბეკოვმა ბურთი გადააწოდა ი. სავიჩევს, შეუძლებელი იყო გამერკვია თამაშგარე მდგომარეობაში იყო თუ არა ი. სავიჩევი. ვ. მედვედცკიმ თავდაპირველად სიგნალი არ მომცა, თამაში გაგრძელდა, გოლიც გავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ ვნახე, რომ ვ. მედვედცკის აწეული ჰქონდა ალამი. მატჩის ვიდეოჩანაწერის ეს ეპიზოდი მრავალჯერ განიხილეს და ახლაც გადაჭრით ვერ გვითქვია იყო თამაშგარე მდგომარეობა თუ არა".

საკითხის განხილვისას მრავალი აზრი გამოითქვა, სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი. მან განაცხადა, რომ საჭიროა დებულების ყველა პუნქტის დაცვა, გარდა ამისა, ყველასათვის ნათელია მსაჯებს რომ მიკერძოებითი ზრახვები არ ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, პრეზიდიუმის სხდომა ცხარე დავაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, კენჭისყრისას გამოირკვა, რომ პრეზიდიუმის 9 წევრი წინააღმდეგია მოსკოვის „ტორპედოს" პროტესტის მიღებისა, სამმა წევრმა კი, პირიქით, მხარი დაუჭირა პროტესტს.

ამით წერტილი დაესვა სსრ კავშირის თასის 1989 წლის ფინალური მატჩის გარშემო ატეხილ დებატებს და მითქმა-მოთქმას. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯების შეცდომა დამტკიცდა, პროტესტი არ მიუღიათ, სსრ კავშირის თასი დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მფლობელობაში დარჩა. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მსაჯთა კოლეგიის ყურადღება მიაპყრო ბოლო ხანებში არბიტრების უხეშ შეცდომებს, ისინი ხშირად ნეგატიურად მოქმედებენ მნიშვნელოვანი მატჩების შედეგებზე. კოლეგიას დაევალა გააძლიეროს მუშაობა მსაჯთა შორის.

ამავე პრეზიდიუმზე განიხილეს ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელის ა. ერიომინის საკითხი, რომელმაც თბილისის „დინამოსთან" მატჩში ტრავმა მიაყენა დინამოელ გ. ცაავას. ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ წინადადება შეიტანა, რათა პრეზიდიუმმა ა. ერიომინს ერთი წლის დისკვალიფიკაციის ნაცვლად მხოლოდ 5 მატჩით აუკრძალოს თამაშებში მონაწილეობა და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია პირობითად ჩათვალოს.

საკითხის განხილვა ამ შემთხვევაშიც ხანგრძლივი და მწვავე კამათით აღინიშნა. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი არ დაეთანხმა სპორტტექნიკური კომისიის ამ გადაწყვეტილებას და ძალაში დატოვა ა. ერიომინის ძველი სასჯელი — ერთი წლის დისკვალიფიკაცია, თუმცა დააკონკრეტა, რომ გ. ცაავას გამოჯანმრთელების შემდეგ ა. ერიომინის საკითხი შესაძლოა ხელმეორედ განიხილოს.



სსრ კავშირის თასზე

30 ივნისს გაიმართა 1989-90 წლების სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის კიდევ 6 მატჩი: „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:3, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „დინამო" (მინსკი) 0:1, „დინამო" (ვოლოგდა) — „არარატი" (ერევანი) 2:4, „კაირატი" (ალმა-ათა) — „დინამო" (კიევი) 0:1, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „პამირი" (დუშანბე) 3:2, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:5.

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის „დინამოს" მეთექვსმეტედფინალური მატჩები ექნება ნამანგანის „ნოვბახორთან". ორივე თამაში შედგება თბილისში 14 და 17 ივლისს.

ლიტბარსკი — № 1

ეს ცნობა ფეხბურთის სამყაროსთვის აშკარად მოულოდნელი გამოდგა. გფრ-ის ნაკრების ყოფილი წევრი პიერ ლიტბარსკი („კიოლნი"), რომელიც ზოგმა სპეციალისტმა (და მათ რიცხვში ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმაც) კარგა ხანია დიდი ფეხბურთიდან ჩამოწერა, ექსპერტების გამოკითხვის შემდეგ მიიჩნიეს ბუნდესლიგის №1 ფეხბურთელად!

მომდევნო ადგილებზე არიან: 2. ნორვეგიელი ბრატსეტი (ბრემენის „ვერდერი"), 3. აუგენტალერი (მიუნხენის „ბაიერნი"), 4. მაიერი („ვერდერი"), 5. კიოლერი („კიოლნი"), 6. ფონ ჰესენი („ჰამბურგი"), 7. აუმანი („ბაიერნი"), 8. ფოლბორნი (ლევერკუზენის „ბაიერნი") და ა. შ.

„ნორჩი დინამოელი"—ფინალში

სასიხარულო ცნობა მივიღეთ იჟევსკიდან. აქ გამართულ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში თბილისის „ნორჩმა დინამოელმა" ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ წარმომადგენლობით ასპარეზობაში თავდაპირველად ჩვენი ქვეყნის 48 გუნდი ჩაება, რომლებიც 6 ზონაში ასპარეზობდნენ. დინამოელებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი — 3:1, ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ლენინგრადის „სმენასთან" — 1:1, ასევე ფრედ ითამაშეს კიეველ თანაკლუბელებთან — 2:2 და მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ ვორონეჟელ და იჟევსკელ ფეხბურთელებს შეხვდნენ. ამ ეტაპზე „ნორჩმა დინამოელმა" დაამარცხა ვორონეჟელები — 2:1, ფრედ დაამთავრა შეხვედრა იჟევსკელებთან — 1:1 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გუნდს წვრთნიან რ. მუმლაძე და ბ. გამგონეიშვილი (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე).

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ამ ტურნირში ზ. უშვერიძეს გადაეცა. ფინალურ ასპარეზობას, რომელიც ივლისში გაიმართება, ქ. დნეპროძერჟინსკი უმასპინძლებს.

ალექსანდრე ზავაროვი: „ნახვამდის"

როგორც იტალიური გაზეთები იუწყებიან, საბჭოთა ფეხბურთელი ალექსანდრე ზავაროვი დაემშვიდობა ტურინის ცნობილ კლუბს „იუვენტუსს". გაზეთმა „კორიერა დელა სერამ" ხუთშაბათის ნომერში აღნიშნა: „ზავაროვი მიდის და ამბობს: ნახვამდის 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატამდე".

ალექსანდრე ზავაროვი შეხვდა იტალიის ქალაქ ტურინის „იუვენტუსის" კლუბის გენერალურ დირექტორს პიეტრო ჯულიანოს. საუბარში საბოლოოდ გაირკვა ის, რაც ადრევე იყო ცნობილი: ალექსანდრე ზავაროვის სეზონი „იუვენტუსში" დამთავრებულია. ეს დაადასტურა თვით ფეხბურთელმაც, რომელმაც განაცხადა, რომ მიემგზავრება კიევში. განვლილი სეზონი მისთვის უკიდურესად მძიმე, დამქანცველი იყო და მას არავითარი კმაყოფილება არ მოუტანია.

გაზეთის აზრით, „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ ა. ზავაროვთან განშორების გადაწყვეტილება მიიღო იმის გამო, რომ კიევის „დინამოს" ფეხბურთელების ა. მიხაილიჩენკოს და პ. პროტასოვის შეძენის გეგმები ჩაიფუშა, თვით ზავაროვს კი არ ძალუძს ლიდერად ჩაუდგეს გუნდს. „ტურინის ცნობილ კლუბს, — წერს შემდგომში „კორიერა დელა სერა", — სურვილი აღარა აქვს მეტი რისკი გასწიოს".

იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ „იუვენტუსმა" ა. ზავაროვის ნაცვლად ბრაზილიელი ფეხბურთელი კარლოს დუნგა მიიწვია. რომელიც იტალიის შარშანდელ ჩემპიონატში „ფიორენტინას" შემადგენლობაში გამოდიოდა.

გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?"

ოსტატობა— აღმასვლით!

„ლელოში" გამოქვეყნებული წერილი, უდავოდ, დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს. ჩვენს ფეხბურთს რომ შველა უნდა, ეს ყველასათვის ცხადია. ამასთან დაკავშირებით, მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა:

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი საგრძნობლად მოძველდა, მას განახლება ესაჭიროება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბევრი დრო, ენერგია და თანხები იხარჯება ხშირ მოგზაურობაზე, ჩემპიონატის მრავალი მატჩი არასაფეხბურთო პირობებში ტარდება (დახურული დარბაზი, ატალახებული ან მოყინული მინდვრები და სხვ.), პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მოსკოვისა და უკრაინის გუნდები, გარდა ამისა, ბოლო ხანებში თამაშებზე ცოტა მაყურებელი დადის.

ახლა, როცა ოსტატთა გუნდები სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ, სიძნელეები კიდევ უფრო მოიმატებს, ბევრ საკლუბო გუნდს გაკოტრება ემუქრება. ამიტომაც ვფიქრობ, სსრ კავშირის ჩემპიონატის ნაცვლად უნდა ჩატარდეს სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდები. მათ ერთმანეთთან ორ-ორჯერ უნდა ითამაშონ საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, გუნდების რაოდენობა აქ არ უნდა აღემატებოდეს 10-12-ს. გათამაშება უნდა გაიმართოს 4 წრედ, ორ-ორი შეხვედრა საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე, 2-3 დღის ინტერვალით. ასეთი სისტემით ჩემპიონატის ჩატარებისას მნიშვნელოვნად ამაღლდება ქართული ფეხბურთის დონე, დაირღვევა თბილისის „დინამოს" ერთპიროვნული ჰეგემონია. სამაგიეროდ საქართველოს ნაკრებში უფრო მეტი ფეხბურთელი იქნება წარმოდგენილი რაიონებიდან.

დღევანდელი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი მხოლოდ თავის მოტყუებაა, სპორტთან მას ნაკლები კავშირი აქვს და ამდენად სარგებელიც ცოტა მოაქვს.

რესპუბლიკის ჩემპიონატში უნდა მონაწილეობდნენ თბილისის „ივერია" და „მთაწმინდა", ქუთაისის „გელათი", ბათუმის „ტაო-კლარჯეთი", სოხუმის „რიწა", ზუგდიდის „ოდიში", ფოთის „ფაზისი", სამტრედიის „ლოკომოტივი", ოზურგეთის „ბახმარო", ცხინვალის „ირისთონი", გორის „ლიახვი", თელავის „ენისელი".

საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და ძალა შესწევს აწარმოოს საერთაშორისო სარბიელზე ფეხბურთელთა ექსპორტი. ჩვენში კი ახლა პირიქით ხდება, ჩამოწერილი, უპერსპექტივო ფეხბურთელების იმპორტის ხარჯზე დავაკომპლექტეთ ლანჩხუთის „გურია", რამაც შეიძლება კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩააგდოს ქართული ფეხბურთი. ოსტატობის ზრდას ფეხბურთელის აღმასვლა სჭირდება და არა პირიქით, როცა პირველი ლიგის სამივე გუნდი თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი? ჩვენს ფეხბურთს განახლება ესაჭიროება.

დემურ ტორაძე,
ლეხელიძე.

თქვენ მეთანხმებით?

ვიზიარებ იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში იმართება არასწორად და არაობიექტურად. მაქვს ჩემი მოსაზრებანიც:

— სექტემბრიდან მაისის შუა რიცხვებამდე ჩატარდეს რესპუბლიკური პირველობები.

— ივნისში მოეწყოს საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა რესპუბლიკის ჩემპიონი, მათ შეიძლება დაემატოს რუსეთის ფედერაციის 4 გუნდი და უკრაინის პირველობის ვერცხლის პრიზიორი.

— ტურნირი ჩატარდეს მონაცვლეობით ყველა რესპუბლიკაში.

— 20 გუნდი დაიყოს 4 ჯგუფად, გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი, შემდეგ — ფინალისტები და, ბოლოს, სსრ კავშირის ჩემპიონი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საკლუბო ტურნირებში.

— არბიტრებად ზოგიერთ შემთხვევაში მოვიწვიოთ ევროპელი სპეციალისტები, თუნდაც სოციალისტური ქვეყნებიდან.

ფეხბურთის მოყვარულები, სპეციალისტები ალბათ აზრს გამოთქვამენ ჩვენს წინადადებებზე.

ჰ. დევდარიანი,
რუსთავი.

„ეროვნული ჩემპიონატის აუცილებლობა უდავოა"

საინტერესო დისკუსიის მოწმენი შევიქენით, დაიწყო ცდები ოლიმპიური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესაქმნელად, ახლა კი ვსაუბრობთ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის შექმნის თაობაზე.

ცინორეჟისორ ა. ქლენტის წინადადება მისასალმებელია, მაგრამ ერთი კაცის ნააზრევით ასეთ რთულ პროგრამას ვერ ჩამოაყალიბებ, საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დისკუსია.

ჩემი აზრით, ეროვნული ჩემპიონატის აუცილებლობა უდავოა, მაგრამ არ შეიძლება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისგან სრული მოწყვეტაც, სადაც ამდენი ტრადიცია დამკვიდრდა. კარგი იქნება, რომ ჩვენი ერთი გუნდი, კერძოდ, თბილისის „დინამო" მონაწილეობდეს საკავშირო ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, იბრძოდეს მაღალი ადგილებისათვის, თასისთვის და ევროპულ ტურნირებში მონაწილეობისთვის, მაგრამ გუნდი, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ადგილს მოიპოვებს, პირისპირ უნდა შეხვდეს რესპუბლიკის საუკეთესო გუნდს (ეს, ალბათ, თბილისის „დინამო" იქნება), ეთამაშოს მას როგორც შინ, ისე სტუმრად და თუ მან გაიმარჯვა, შემდგომ სეზონში საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მიიღოს.

ასევე უნდა გათამაშდეს ეროვნული თასი. ეს უნდა იყოს მეტად პრესტიჟული, მაღალი რანგის შეჯიბრება, და კარგი იქნება, თუ საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი ევროპის საკლუბო გათამაშებებში მიიღებენ მონაწილეობას. საამისოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შევიდეს ჯერ უეფა-ს, შემდეგ ფიფა-ს რიგებში. კარგი იქნება, თუ საქართველოს ნაკრები შეხვედრებს გამართავს ევროპისა და მსოფლიო საუკეთესო ეროვნულ გუნდებთან. ყველაფერი ეს აამაღლებს ქართული ფეხბურთის პრესტიჟს, ხელს შეუწყობს ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას.

ფეხბურთი მარტო ფეხბურთად როდი გვინდა, მას სხვა უფრო დიდი როლიც აკისრია.

კახა ჟორჟოლიანი
თბილისი.

მიღწეული ახალ სიმაღლეებს უნდა გვაახლოებდეს

არც თუ ისე შორეულ წარსულში, 40-30 წლის წინათ, საქართველოში (და საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში) მოსწავლეთა საჭადრაკო შეჯიბრებები თითებზე ჩამოითვლებოდა. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში ნამდვილად მჩქეფარე საჭადრაკო ცხოვრებაა. ერთმანეთს მისდევს მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრებები, შეკრებები, მოზარდები სისტემატურად მონაწილეობენ საკავშირო ჩემპიონატებში, საქართველოს წარმომადგენლები წარმატებით გამოდიან მსოფლიო ჩემპიონატებში. თუმცა, რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებიც საკმაოდ გვაქვს, დასაძლევია სხვადასხვა ორგანიზაციული დაბრკოლება. ყოველივე ამის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხულიკო მეგრელიშვილი.

● ამას წინათ ბათუმში დამთავრდა საქართველოს გუნდური პირველობა მოსწავლეთა შორის. გთხოვთ მოგვითხროთ ამ შეჯიბრების შესახებ.

— ეს საკმაოდ ხანგრძლივი, სამსაფეხურიანი შეჯიბრება გახლავთ, ბათუმის ტურნირი კი დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო. ჯერ ვატარებთ ზონალურ ასპარეზობებს, მცირე შესვენების შემდეგ კი 8 გუნდის შესარჩევ ტურნირს. ვინც აქ ორ პირველ ადგილს დაიკავებს, ფინალში გადის, სადაც უერთდება წინა წლის ანალოგიურ შეჯიბრებაში ექვსეულში გასულთ. ჩემი აზრით, ასეთი სისტემა სპორტული თვალსაზრისით სავსებით ამართლებს.

ერთი სიტყვით, ბათუმში 8 გუნდი გამოდიოდა, აქედან ორ უსუსტესს გასად ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდება.

პირველი ადგილისთვის ბრძოლა ტრადიციულად თბილისისა და ქუთაისის ნაკრებებს შორის მიმდინარეობს ხოლმე და არც ისე იშვიათად ქუთაისელთა გამარჯვებით მთავრდება. ამჯერად ქუთაისელებმა ვერ შეძლეს ბათუმში თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით ჩამოსვლა (ზოგი მოსწავლე ამავე პერიოდში „თეთრი ეტლის" რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამოდიოდა). თუმცა, ასევე დაზარალდნენ თბილისელი გოგონებიც. ასე იყო თუ ისე, ამჯერად თბილისელებმა 46 ქულით საკმაოდ იოლად დაიკავეს პირველი ადგილი, ქუთაისელებმა 38 ქულით მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გაასწრეს აფხაზეთის წარმომადგენლებს (36 ქულა), რომლებსაც მესამე ადგილი ხვდათ წილად.

დანარჩენი 5 გუნდი, ასე ვთქვათ, ლოკალურ ამოცანებს წყვეტდა. გურჯაანელებმა 24,5 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება. სამტრედიელებს 24 ქულა აქვთ, ფოთელებს — 23,5. ლიგას ტოვებენ აჭარისა (21 ქულა) და სენაკის (11) გუნდები.

რამდენიმე სიტყვა ამ გუნდებზე. გურჯაანელთა უდავო წარმატება შეიძლება ბევრს გაუკვირდეს. რაიონში, სადაც სპორტკომიტეტი მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უთმობს ჭადრაკს, მუშაობს ერთადერთი მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი გია ქიტესაშვილი, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტი ენთუზიასტი, ენერგიული, შეიძლება ითქვას, თავდადებული მუშაკი. შედეგიც თვალსაჩინოა — მან უკვე აღზარდა რამდენიმე კარგი მოჭადრაკე. ზოგს, ჩემი აზრით, ჩინებული პერსპექტივებიც აქვს.

● რას იტყვით იმ გუნდებზე, რომელთაც სრული მარცხი განიცადეს?

— პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო სენაკელთა წარუმატებლობა. ადრე ამ ქალაქს კარგი საჭადრაკო ტრადიციები ჰქონდა, იქ ახლაც მუშაობს რამდენიმე მწვრთნელი, რომელთაგან გოჩა ტყებუჩავასა და დავით ჩაჩიბაიას კარგი ერუდიცია და სათანადო მომზადებაც აქვთ. შედეგი? ეტყობა, ტყებუჩავა მთელ თავის ყურადღებას მხოლოდ ერთ ნიჭიერ ჭაბუკს რომან სიჭინავას უთმობს, მაგრამ განა ასეთი ვიწრო შემოფარგვლა მიზანშეწონილია? ის მოსწავლე მოჭადრაკეები, რომლებიც ბათუმში ჩამოვიდნენ, მეტად სუსტად იყვნენ მომზადებულნი.

ბათუმშიც, ჩვენი არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, საკმაოდ არასახარბიელო ვითარება შეიქმნა. ადრე აქაური მწვრთნელები უჩიოდნენ სათანადო ბაზის უქონლობას, ახლა კი მშვენიერ შენობაში უხდებათ მუშაობა, ამ მიზეზს ისინი ველარ დაიხვევენ ხელზე. ამასთან, როგორც გვაცნობეს, მალე ბათუმში მოჭადრაკეებს გადაეცემა შესანიშნავი კლუბი, სადაც თვით პირველხარისხოვანი საერთაშორისო ტურნირის მოწყობაც კი იქნება შესაძლებელი. მაგრამ განა კადრების მომზადების საკითხს შენობები წყვეტს? აჭარის გუნდი მეტად არათანაბრად იყო დაკომპლექტებული, შეიძლება არც ის იყო სწორი, რომ ჭაბუკთა პირველ დაფაზე 10 წლის დიანა დარჩია გამოდიოდა. მას გოგონებს შორის რომ ეთამაშა, გუნდი ასე სერიოზულ მარცხს არ განიცდიდა. გუნდის მწვრთნელი ლეონიდ ნეურონოვი ძლიერი მოჭადრაკეა, თეორიის კარგის მცოდნეც. აი, ვის და როგორ ასწავლის, ეს უკვე სხვა საკითხია. მის სრულ გულგრილობაზე ისიც მეტყველებს, რომ შეჯიბრების დახურვაზეც კი არ გამოცხადდა.

● განა ბათუმში რამდენიმე მოჭადრაკემ მაინც არ მიიქცია ყურადღება?

— როგორ არა. ჩვენში ნიჭიერ მოჭადრაკეებს რა გამოლევს, თუმცა შემდეგში ბევრ მათგანს რომ ვკარგავთ, ესეც ფაქტია, ჭაბუკებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელო გურჯაანელი ვლადიმერ ჭიკაძე, რომელმაც ერთადერთმა მიაღწია ასპროცენტიან შედეგს — მეორე დაფაზე მოიგო ყველა, შვიდივე პარტია და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც მიიპყრო ყურადღება. პირველ დაფაზე სოხუმელმა არტემ ტაბარიანმა საკმაოდ მოულოდნელად I-II ადგილები გაიყო ისეთ ძლიერ მოჭადრაკესთან, როგორიც სენაკელი რომან სიჭინავაა (საქართველოს ვაჟთა პირველობის უმაღლესი ლიგის მონაწილე), ამასთან ტაბარიანს უკეთესი დამატებითი მონაცემები აღმოაჩნდა.

გოგონებში მაინც გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. უკვე კარგად ცნობილ ეკა კემულარიასა (ოჩამჩირე) და ინგა ხურცილავაზე (იგი ხონელია, ახლა თბილისში სწავლობს) რომ აღარაფერი ვთქვათ, ყურადღება მიიპყრეს 10 წლის რუსიკო გოლეთიანმა (აფხაზეთი), თამარ ცანავამ (ფოთი), ქუთაისელებმა ოლოლა ალხაზიშვილმა და სოფიკო ტყეშელაშვილმა კი ჯერ კიდევ შარშან მიიქციეს ყურადღება. შესაძლებელი რომ იყოს მისი მონაწილეობა 10 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატში (ასეთი შეჯიბრება წელს ივლისში პუერტო-რიკოში ტარდება), ჩემი აზრით, ძალიან კარგად ითამაშებდა ფოთელი თეა სახოკია. იგი ვაჟთა მეოთხე დაფაზე გამოდიოდა და 7 შესაძლებლიდან 5,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

● რა მიგაჩნიათ მოსწავლეთა ჭადრაკში მუშაობის ძირითად ნაკლად?

— კარგი პედაგოგების, მწვრთნელების დიდი სიმცირე, ხშირ შემთხვევაში კი პირდაპირი „შიმშილიც" კი. მე უკვე მოგახსენეთ ზოგიერთი ზერელე დამოკიდებულებაზე და უსულგულობაზე.

● ივლის-აგვისტოში ქართველი გოგონები მსოფლიო პირველობებზე გამოვლენ. ამაზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა

— ეს ცალკე, დიდი საუბრის თემაა, ამჯერად კი ზოგი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. ქეთევან კახიანი უკვე უნივერსიტეტის სტუდენტია, ვფიქრობთ, იგი ამართლებს იმედებს. ნათია ჯანჯღავამ წელს საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ქალთა შორის, ახლა კი პუერტო-რიკოში უნდა ითამაშოს. თეა ლანჩავა ქუთაისელია, ამჟამად თბილისში სწავლობს, შარშან, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საკმაო წარმატებები აქვს სოფიკო ნიკოლაძეს, რომელიც პუერტო-რიკოში ლანჩავას მეტოქე იქნება. მსოფლიო პირველობაზე 12 წლის ბათუმელი დიანა დარჩიაც ითამაშებს. ახლა დღის წესრიგში დგება მათი საგანგებოდ მომზადების საკითხი.

მძლეოსანთა სტარტები

ჰელსინკი. ორი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა აქაურ ოლიმპიურ სტადიონზე „გრან პრის" სერიით გამართულ ასპარეზობაზე. ტაშკენტელმა რადიონ გატაულინმა (ეს მისი პირველი სტარტი იყო წლევანდელ საერთაშორისო ასპარეზობებში) დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ჭოკით ხტომაში. მან 571 სმ დასძლია. მომდევნო საპრიზო ადგილები (შედეგით 550 სმ) ამერიკელმა დუგ ფრეილმა და კორი ტარპენინგმა გაიყვეს. ტალინელი ვალერი ბუკრეევი მეექვსე აღმოჩნდა — 540 სმ. მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში გალინა ჩისტიაკოვამ ერთადერთმა შეძლო 7-მეტრიანი ზღვარის გადალახვა — 707 სმ.

წელს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა კენიელმა სტაიერმა პატრიკ სანგმა, რომელმაც 3.000 მ წინაღობებით 8.15,06 წამში დასძლია. ასევე სწრაფი გამოდგა ვაჟთა 10-კილომეტრიანი გარბენი, რომელიც მოიგო იტალიელმა სალვატორე ანტიბომ — 27.16.50. ფინიშთან მეორე იყო ეთიოპიელი ადის აბებე იუნიორთა მსოფლიო რეკორდით — 27.17,87. მათ გარდა 28 წუთი კიდევ ექვსმა მორბენალმა „დაახურდავა".

კვარნსვედენი. შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდსმენმა ხავერ სოტომაიორმა (კუბა) 230 სმ სიმაღლე დასძლია, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ინგლისელი სტივ ოვეტი უძლიერესი იყო 1.500 მეტრზე რბენაში — 3.38,44, კუბელმა ელიზაბეტ ერნანდესმა ბადრო 63,86 მ-ზე გაგზავნა, შვედმა დაგ ვენლუნდმა კი შუბი 80,92 მ-ზე ტყორცნა.

„სპორტპროგნოზი", 28-ე ტირაჟის პროგრამა (9-10 ივლისი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში (უმაღლესი ლიგა)		პროგნოზი		
1. „ელმავალი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი)	9.VII	60	10	30
2. „აია" (ქუთაისი) — „ხლავა" (მოსკოვი)	9.VII	70	10	20
3. „ავიატორი" (კიევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)	9.VII	60	10	30
4. „ზვეზდა" (ტაშკენტი) — გაგარინის სახ. სხა (მონინო)	9.VII	10	10	80
5. ახკ (ალმა-ათა) — „ექსკავატორტიაჟსტროი" (კრასნოიარსკი)	9.VII	70	10	20
6. „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — „ფილი" (მოსკოვი)	9.VII	30	10	60
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
7. „ტორპედო" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი)	9.VII	80	10	10
8. „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)	10.VII	70	20	10
9. „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (მინსკი)	10.VII	30	40	30
10. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)	10.VII	30	60	10
11. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „შახტიორი" (დონეცკი)	10.VII	20	60	20
12. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)	10.VII	10	20	70

ფორმენი არ ხუმრობს

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯორჯ ფორმენი რინგს დაუბრუნდა, მას მართლაც გასაოცარი შედეგები აქვს. ამ დღეებში ქ. ფენიქსში უკვე მეთვრამეტე მატჩი გამართა მერტ კუპერთან და მეორე რაუნდშივე ნოკაუტით დაამთავრა შეხვედრა. 18 მატჩი, 18 ნოკაუტი! ეს მართლაც რომ უნიკალური შედეგია.

კუპერის დამარცხების შემდეგ ფორმენმა და მისმა მენეჯერმა უკვე პირდაპირი მოლაპარაკება დაიწყეს მსოფლიო ჩემპიონ მაიკ ტაისონთან მომავალი შეხვედრის თაობაზე.

როგორც ჩემპიონის მენეჯერმა ბილ კეიტონმა ჟურნალ „სტემს" განუცხადა, ეს შეხვედრა ადრე აბსურდულად მიაჩნდა, რადგან ფორმენმა უკვე 40 წელს გადააბიჯა. ახლა, ექს-ჩემპიონს განუწყვეტელი გამარჯვებების შედეგად, აღმოუჩნდნენ დაინტერესებული ქვეყნები, რომელთაც სურთ ტაისონ—ფორმენის მატჩის ჩატარება მსოფლიო პირველობაზე.

იუმორი

ჟურნალი „სტადიონი" (ჩეხოსლოვაკია)

უიმბლდონზე „სიმშვიდე"…

რა თქმა უნდა, მოულოდნელობას ვგულისხმობთ, თორემ ასეთი რანგის სატურნირო ორთაბრძოლებში სპორტსმენთა სიმშვიდე მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში მათი შინაგანი მღელვარება ყოველ მატჩში კულმინაციურ წერტილს აღწევს, რადგან უიმბლდონზე დღეს სუსტი მეტოქეები არ არსებობენ.

სატურნირო გამოცდას ვერც მინსკელმა ნატალია ზვერევამ გაუძლო და იგი მესამე წრეში შვედ მეტოქესთან კატრინ ლინდკვისტთან დამარცხდა — 6:7 (5:7), 6:4, 4:6. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა სძლია ავსტრალიელ ანა მინტერს — 6:1, 6:3.

მეორე წრის შეხვედრებში ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამ სამ პარტიაში აჯობა ავსტრალიელ კრისტინ რედფორდს — 3:6, 6:3, 6:3, ხოლო საფრანგეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულმა მაიკლ ჩანგმა (აშშ) ჰაიტელ რონალდ აგენორს — 4:6, 6:2, 6:1, 7:5.

◆

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კრემონა. იტალიის საფეხბურთო თასის გათამაშების საპასუხო ფინალურ მატჩში გენუის „სამპდორიამ" დიდი ანგარიშით დაამარცხა „ნაპოლი" — 4:0 და მოიპოვა საპატიო პრიზი (პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა „ნაპოლის" — 1:0).

„სამპდორიას" წესით გენუაში უნდა მიეღო მეტოქე, მაგრამ ვინაიდან აქაური სტადიონი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირთან დაკავშირებით რემონტშია, იგი კრემონაში შეხვდა მეტოქეს და ისეთივე აღმავლობით ითამაშა როგორც შინ.

თამაშის პირველ ნახევარში თითო ბურთი გაიტანეს ვიალიმ და ბრაზილიელმა ვეტერანმა სერეზომ, შესვენების შემდეგ ვიერხოვოდმა და მანჩინიმ (11-მეტრიანი) ანგარიში აიყვანეს 4:0-მდე.

მატჩი სკანდალურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მინდვრიდან გააძევეს ნეაპოლელი რენიკა და გენუელი მანჩინი.

ცუდად ითამაშეს „ნაპოლის" უცხოელმა ვარსკვლავებმა არგენტინელმა მარადონამ და ბრაზილიელმა კარეკამ. მიმომხილველები ამას ტრავმებს აბრალებენ.

რიო-დე-ჟანეირო. უხალისოდ ემზადებიან სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებისთვის ბრაზილიელი ფეხბურთელები. უფროსმა მწვრთნელმა სებასტიან ლაზარონიმ მიიწვია ყველა უძლიერესი ფეხბურთელი, რომლებიც უცხოეთის კლუბებში თამაშობენ, მაგრამ ბევრისგან თანხმობა ჯერ კიდევ არ მოსულა. მიწვევას ჯერჯერობით გამოეხმაურნენ მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ბალთაზარი (35 გოლი) და ჰოლანდიის „ეინდჰოვენის" უძლიერესი მოთამაშე რომარიო. ტრავმების მიზეზით ნაკრებში თამაშს არ აპირებენ კარეკა და მიულერი, რომლებიც იტალიის კლუბებში იმყოფებიან.

ბრაზილიელებს პირველი შეხვედრა ვენესუელის გუნდთან აქვთ.

ჯაკარტა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი თარიღი დაადგინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ინდონეზიის გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის, რომელიც 18 ივნისს უნდა გამართულიყო ფხენიანში, მაგრამ ინდონეზიელი ფეხბურთელები იქ დროზე ვერ ჩავიდნენ, ვინაიდან მათი თვითმფრინავი პეკინში დააკავეს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას თავდაპირველად გადაწყვეტილი ჰქონდა დამარცხება მიესაჯა ინდონეზიელთათვის, მაგრამ შემდეგ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და მატჩი 9 ივლისისათვის გადაიტანა.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის ქ. 29. უე 07158